პარასკევი 1919 წ. თებერვლის 14 № 35
ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ჭარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგზავნარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ხმა მიეცით სიას № 2-ს

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს" რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

ღრმად დამწუხრებულნი გიორგი (პაშა) ალექსანდრეს ძე ციციშვილი, ალექსანდრა (საშა) ალექსანდრეს ასული ციციშვილი, ეკატერინე და სერგო შვილებითურთ მიქაბერიძენი, მარიამ, ვასილი, ნინო, ელენე ხოხბერიძენი, დეიდები კონა ჯავრიშვილისა და ანეტა ჟვალიშვილი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 15 თებერვალს, ახალი სტილით, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად დახოცილთ სოფელ ლეთეში (გორის მაზრა)

კნ. ელენე, ანნა (შვენო), ბარბარე, ალექსანდრე და შალვა ციციშვილებისა,

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვის დასაწყისი 11 საათზე.

(1—2111—1)

ღრმად დამწუხრებული მამა სოლომონ კუმსის ძე, დანი: ანიკო და ლუბა, ძმა პეტრე დ რძალი მარიამი აუწყებენ ნათესავთა დ ნაცნობთ, რომ 11 თებერვალს, ახალციხის მისავალში, თათრ-ქართველთა სროლის დროს, ტყვიით განიგმირა ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე

თამარა სოლომონის ასული

ორჯონიკიძისა

დაკრძალვა სოფელ ტეძერში, ღვთის-მშობლის ეკლესიაში, შაბათს, 15 თებერვალს, დილის 10 ს. (1—2114—1)

ქვრივი გაიანე იოსების ასული, ივანე, ნინო და ეკატერინე ალექსის ძე და ასულნი და სოფიო პეტრეს ასული ეპიტაშვილები აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ ძვირფასი და დაუვიწყარი

მღვდლის ალექსი პეტრეს ძის

ეპიტაშვილის

გარდაცვალებას, პირველი საყვარელი მეუღლის, მეორე და მესამენი მამის, ხოლო მეოთხე ძმისას. დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 14 თებერვალს, მარტყოფის სამების ეკლესიის გალავანში. (1—211—1)

კნ. ნინო მიხეილის ასული და თ-დ დავით კირილეს ძე ციციშვილები შვილებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ დღეს, 14 თებერვალს, დილის 10 ს., გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და საყვარელ შვილის სამშობლოსათვის თავშეწირულის, პორუჩიკის მე-16 თურქესტანის პოლკისა

თ-დ გიორგი (გიგუშა) დავითის ძე

ციციშვილის

ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. (1—2112—1)

ქართველ მებრძოლთ

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

ეროვნული ბიბლიოთეკა, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა.

მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი ლეო კერესელიძე.

6—2079—6

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

შაბათს, 15 თებერვალს, ტ. ა. შვამბერგის, სპიტკოს, კანშინას, ვრონსკის, ისეცკის, დემიანენკოს და სხ. მონაწილეობით:

აიდა

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

კვირას, 16 თებერვალს, დილით, კურბატოვის ბენეფისი „ჯამბაზები", საღამოთი დირიჟორ ნ. ნ. ჩერეპნინის ბენეფისი „სნეგუროჩკა".

18 თებერვალს, ე. ა. სპიტკოს ბენეფისი „მინიონი".

დამფუძნებელ კრების მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისიისგან.

თბილისის მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდება ამა წლის 14, 15 და 16 თებერვალს დილის 9 საათიდგან, საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში.

1 კომისარიატში.

1 საარჩევნო უბანი ქართულ უნივერსიტეტის შენობაში. ვაკე.
2 „ „ საბურთალოს თეატრში.
3 „ „ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლღას ქ., ს. მაჩაბლისა, № 52 კირპიჩნის შესახვ.
4 „ „ პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
5 „ „ სამინწამომზომველ სასწავლებელში, გუნიბის ქ.
6 „ „ მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიის ქ. 23.

2 კომისარიატში

7 „ „ შინაგანის თეატრში, მელიქ-აზარიანცისა, ვერის დ.
8 „ „ არტისტიულ საზ. დარბაზში, გოლოვინის პრ.
9 „ „ დარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახლი, სამართლოს ქ. 48.
10 „ „ თბილისის საოლქო სასამართლოს შენობაში.

3 კომისარიატში

11 „ „ პირველ ქალთა გიმნაზიაში, გოლოვინის პრ.
12 „ „ სამოქალაქო სასწავლებელში, ს. აფრიკანისა. ბებუთოვის ქუჩა.
13 „ „ სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა, ბებუთოვის ქ.

4 კომისარიატში

14 „ „ სახელოსნო გამგეობაში, სალდათის ბაზარი.
15 „ „ მანთაშევის ქარვასლაში, სომხეთის ბაზარი № 62
16 „ „ სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში, აბას-აბადის მოედ.

5 კომისარიატში

17 „ მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზედ.
18 „ „ პუშკინის საქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქ., არბუზის მოედანი
19 „ „ ტოლლეს ქარხნის კანტორაში, ვორონცოვის ქ.

6 კომისარიატში

20 „ „ ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქ.
21 „ „ ქალაქის ახალ სასაკლაოს კონტორაში.
22 „ „ ძმ. ტ.-აბრამოვების ნავთის ამბ. კანტ., კახეთის ქ.
23 „ „ სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ № 46.
24 „ „ მურაშკოს თეატრში, თელავის ქ.
25 „ „ ცარიელ დუქანში, კახეთის ქ., სადაც იმყოფებოდა მოსამსახურეთა ეკონ. საზ. განყოფილება.

7 კომისარიატში

26 „ „ არაკსიანის თეატრში, კონსტანტინეს ქუჩა.
27 „ „ მე-5 ვაჟთა გიმნაზიაში, პეტრე-პავლეს ქ.
28 „ „ ცარიელ მაღაზიაში, კუთხე ლაზარევისა და ხივის მეს. ს. მანუკოვისა № 57,
29 „ „ მარინეს საეკლესიო სკოლაში.
30 „ „ ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქ.

8 კომისარიატში

31 „ „ ალტმანის სახლში, კუთხე პროეკტიროვანის და კახეთის ქ.ქ.
32 „ „ შალაკნების საზ. სკოლაში. დესიმონოვის მოედ.
33 „ „ მე-4 მომრიგ. სასამართლოს განყოფილებაში. სურფსარქისის აღმართი.
34 „ „ პირველ კომერ. სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.

9 კომისარიატში

35 „ „ პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ. № 29.
36 „ „ მუშათა კლუბში. ერთობის უბანი.
37 „ „ მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში, ტურგენევის ქუჩა.
38 „ „ კატოლიკეთა საეკ. სკოლაში, ნიკოლოზის ქ. 59
39 „ „ სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.

10 კომისარიატში

40 „ „ ავჭალის აუდიტორიაში
41 „ „ ენფენჯიანცის თამ. ქარ. კანტორაში, ვოგზლის ქ. 8
42 „ „ 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფ. კლუბი) მიხეილის პრ.
43 „ „ ზუბალაშვილის სახალხო სახლი, კიროჩნი ქ.

11 კომისარიატში

44 „ „ საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და ჰავლოვსკის ქუჩებისა.
45 „ „ სამოქ. სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ., ს. ბოტტესი
46 „ „ ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქ.
47 „ „ სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის, ლოდკის ქ. 24

12 კომისარიატში

48 „ „ დემოკრატიულ კლუბში. მუშტაიდი შერემეტევის ქ.
49 „ „ ყოფ. საჯირითო მოედნის კანტორა
50 „ „ ავჭალის წყალსადენი.
51 „ „ კოლონია ალექსანდერსდორფი.

საარჩევნო კომისია კიდევ ერთხელ მოაგონებთ მოქალაქეთ, რომ ვისაც პირადობის ბარათი არ მიუღია და სიაში კი არის შეტანილი, უნდა მოითხოვოს ყუთთან თავისთვის საარჩევნო უბანში არჩევნების დღეებში.

საქალაქო საარჩევნო კომისია.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „საქართველო"

1919 წ. ფებერვლიდან 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, (ქართული ჭარვასლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო", ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე.

პინკემო მინიონი
გოლოვინის და ბარიათინის კუთხე.
დღეს ჩვენს ეკრანზე
!! პინკემ. შედევრი !!
სულდგმული გაქრეთილი პოლიციელი.
— სურათში —
„გუსტართან"
მხატვრული დრამა 6 აქტად.
ანონსი: 19 თებერვლიდან
პასუხი სურათზე:
„გუსტართან"
„დაივიწყე ბუხარი, მასში ცეცხლი ჩაიფერფლა".
12—115—1

დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის

ახირებულს პირობებში იწყება დამფუძნებელი კრების არჩევნები. სოფის ოლქი მტრის ხელშია, ახალციხის მაზრაში ამბოხება მძვინვარებს; სახელმწიფოებრივი აპარატი მოდუნებულია, ხაზინა დაცალიერებულია ასეთ პირობებში პირველ ადგილას სახელმწიფოს ინტერესი უნდა იდგეს და პატრიოტულმა ვალდებულებამ უნდა დაჩრდილოს პარტიული მოსაზრებები. საარჩევნო აგიტაცია კი ხალხს პარტიულ პლატფორმებისა და ლოზუნგების გარშემო რაზმავს, რაიცა უეჭველია ანელებს ეროვნულ ენერგიას.

ახლა ნათელია რავდენად სამართლიანი და კეთილგონიერი იყო ჩვენი მოთხოვნა, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევა არ მომხდარიყო ასე ნაჩქარევათ. უეჭველია, მმართველ პარტიას ჰქონდა გასამართლებელი საბუთები, როცა ნამდვილ წარმომადგენლობით დაწესებულების მოწვევას აჩქარებდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველი წარმომადგენლობითი დაწესებულება მხოლოდ დაახლოებით სახავს ხალხის ნებისყოფას და დიდათ საეჭვოა, რომ მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ მეტის სისრულით და სისწორით გამოხატოს საქართველოში არსებულ ძალთა განწყობილება, ვიდრე პარლამენტი ხატავდა. ესეც არ იყოს, ვერავითარი რეზონი ვერ აიწონის იმ სამწუხარო ფაქტს, რომ უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში, რომელმაც რესპუბლიკას ძირითადი კონსტიტუცია უნდა მისცეს, წარმოდგენილი არ იქნება თითქმის არც ერთი ჩვენი სადაო პროვინცია: თვით ისეთი ძირეული ქართული ნაწილები, როგორიც არის ბათომის ოლქი, ახალციხე და საინგილო მონაწილეობას არ იღებს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. ეს გარემოება, რასაკვირველია, შეამკირებს მომავალი საკანონმდებლო ორგანოს ავტორიტეტს, ჩვენ ტერიტორიულ პრეტენზიების დასაბუთებას კი მომავალში გააძნელებს.

მაგრამ ყოველ სოციალურ მოვლენას თავისი ლოღიკა აქვს და რაკი საარჩევნო ბრძოლა დაწყებულია, ის ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ავათ თუ კარგათ. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს ხსნა არა არის ერთი რომელიმე პარტიისა და კლასის საქმე. რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება, რომ არც ერთ პარტიულ დოგმას არ შეუძლია ერის ცხონება. ჩვენ გვგონია, რომ დადგა დრო, როცა ქვეყანამ უნდა მოუწოდოს პრაქტიკულ საქმიანობისა და ზნეობრივ დისციპლინის ადამიანებს, რომელნიც თავისუფალნი იქნებიან ყოველგვარი დოქტრინური ფანატიზმისაგან. ეს მოწოდება დღეს საყოველთაო არჩევნების შემწეობით ხდება, თუმცა შეიძლებოდა სხვა გზითაც მომხდარიყო. ეროვნულ დემოკრატიას სწამს, რომ მას სხვებზე არა ნაკლებ მოეპოვება სახელმწიფო მოღვაწეობისთვის გამოსადეგი პირები. ამიტომ ეროვნული დემოკრატია ენერგიულ მონაწილეობას მიიღებს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, რათა პარლამენტარული გზით თავისი უფლებები დაიცვას და თავისი ვალდებულებები შეასრულოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი საარჩევნო კომიტეტი აცხადებს

ყველა პარტიის წევრთა მობილიზაციას

ყოველი პარტიის წევრი უნდა გამოცხადდეს მახლობელ პარტიულ ორგანიზაციაში და სათანადო დავალება მიიღოს

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკის პრეზიდენტად ებერტი აირჩიეს.

10 თებერვალს ბერლინში დიდი არეულობა იყო.

დროებით ზავის კომისიის სხდომაზე გერმანელთა კომისიამ მოკავშირეებს დროებით ზავის პირობათა გაგრძელება სთხოვა.

რუმინიაში ბოლშევიკური მოძრაობაა. რუმინის ჯარებში დიდი მღელვარებაა.

ელზაში მშიერთა არეულობა.

10 თებერვალს სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა შესდგა.

აირჩიეთ ეროვნულ-დემოკრატები

დღეს იწყება არჩევნები დამფუძნებელ კრებისა. საქართველოს მოქალაქე დღეს საარჩევნო ყუთთან უნდა მივიდეს და ხმა მისცეს იმ სიას, რომელსაც ანდობს ქვეყნის მოვლა-პატრონობას. სამი დღის შემდეგ საქართველოს ეყოლება დამფუძნებელი კრება, შემდგარი საყოველთაო არჩევნებით. ეს კრება იქნება კანონიერი და სრული უფლებით მოსილი ბატონ-პატრონი საქართველოსი.

ყველას ახსოვს ოცდა ექვს მაისის აქტი, აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. საქართველოს მტრები მაშინ ამბობდენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება არ იყო სახალხო აქტი, რომ ის იყო მხოლოდ სურვილი ერთი მუშა ხალხისა, რომელსაც ეროვნულ საბჭოში მოეკალათა.

დამფუძნებელმა კრებამ, შემდგარმა საყოველთაო საარჩევნო წესით, რომელშიაც საქართველოს მთელი ხალხი მიიღებს მონაწილეობას, უნდა დაადასტუროს ეს აქტი და ამით საქვეყნოდ გამოაცხადოს, რომ აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა იყო და არის აქტი ისტორიულ აუცილებლობისა და ეს ისტორიული აუცილებლობა დღესაც ძალაშია, ქართველ ხალხს დღესაც ისევე სჭირია ეს დამოუკიდებლობა, როგორც ამ რვა თვის წინეთ, როდესაც ამ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ იხსნა იგი ფიზიკურ მოსპობისაგან.

და ეს სიტყვა, რომელიც პირველი სიტყვა უნდა იყოს დამფუძნებელ კრებისა, ერთხელ და სამუდამოთ გამოაცლის იარაღს მათ, ვინც სარგებლობდა ამით საქართველოს წინააღმდეგ დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დღემდე. და არა მარტო ეს. დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ თავისი სიტყვა უნდა უთხრას არა მარტო ამ დამოუკიდებლობის მტრებს, არამედ ყველას, მთელ განათლებულ ქვეყანას, ყველა სახელმწიფოებს, სადაც სუვერენული სურვილები ხალხისა და უფლება ხალხისა პირველი საფუძველია საერთაშორისო დამოკიდებულებისა. დამფუძნებელი კრება უნდა გაუძღვეს დამოუკიდებელ საქართველოს და შეიყვანოს იგი სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახში, სადაც ყველა ერისთვის არის ადგილი, თუ კი ეს ერი მოისურვებს მივიდეს იქ, როგორც შეკავშირებული და შეკრული პოლიტიკური ორგანიზმი, სახელმწიფოებრიობის და უფლებრიობის იმ განმარტებით, როგორც ესმის ეს დღევანდელ სახელმწიფოს, დღევანდელ უფლებას.

და ამ მხრივ დამფუძნებელმა კრებამ უნდა სთქვას თავისი მეორე სიტყვა, სიტყვა, თუ როგორ ესმის მას დღევანდელი სახელმწიფო, დღევანდელი უფლება. ეს არის უკვე დარგი შინაურ პოლიტიკისა, სახელმწიფოს შინაგან წესების დამკვიდრებისა და ეს არის არა მარტო სიტყვა, ეს არის საქმე.

ყველას თვალწინ არის გადაშლილი ის სახელმწიფო საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ დღემდენ ჩვენი სოციალისტები. ჩვენ ხშირად ვიყავით იმის მოწმე, რომ ცხოვრება ამ ხალხზე ძლიერი იყო და ეს ცხოვრება თვით უარყოფდა მას, ვინც არ იდგა თანამედროვე სახელმწიფოს შეგნებაზე, თანამედროვე უფლების შემეცნებაზე. ინგრეოდა მათი ილიუზია, მათი დემაგოგია, მათი იდეოლოგია, ცხოვრება მათ უარყოფდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ან და პირიქით, სწორედ ამიტომ, ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აივსო გამოუსადეგარ ბალასტით, რომლითაც იზნიქება სახელმწიფო და რომლის მოშორება უნდა მას, რადგანაც მას უნდა სიცოცხლე.

და, აი, ამ ბალასტის გადასაგდებათ, ამ გამოუსადეგარ ბალახის გასამარგლავად იკრიბება აგრეთვე დამფუძნებელი კრებაც.

მერე ვის შეუძლიან ამ ორი დიდი საქმის, საგარეო პოლიტიკის მოგვარების და შინაურ წესწყობილების მოწყობის—გაკეთებაზე ნუ თუ მათ, ვინც აქამდის უდგა სახელმწიფოს სათავეში.

მოქალაქენო, არა. ეს მათ არ ძალუძთ, არ ძალუძთ, რადგანაც სოციალიზმი სამოქალაქო ომის ფილოსოფიაა. ეს დამტკიცა რევოლიუციამ. მათ არ შეუძლიანთ ჩვენი შინაური მდგომარეობის მოგვარება, რადგანაც სამოქალაქო ომის მომხრენი არიან შიგნით და არ შეუძლიანთ საგარეო მდგომარეობის გამაგრება, რადგანაც სამოქალაქო ომის მომხრენი არიან გარეთაც. ინტერნაციონალისტები აზრით ინტერნაციონალისტები არიან მოქმედებითაც. ისინი იბრძვიან იმ უფლების წინააღმდეგ, რომელიც ქვაკუთხედია თანამედროვე სახელმწიფოსი. ამიტომ ყოველი ხმა, რომელიც მათ გაუმაგრებს ზურგს, გამაგრებაა ომისა შინ, ომისა გარეთ. ამიტომ არც ერთი ხმა მათ! და ყველა ხმა ეროვნულ-დემოკრატიას, რომელიც სდგას რა თანამედროვე სახელმწიფოს და თანამედროვე უფლების ნიადაგზე, არ ქადაგებს სამოქალაქო ომს არც შინ და არც გარეთ და სახელმწიფო წარმოდგენილი აქვს, არა როგორც უარყოფა უფლებისა, არამედ როგორც განმტკიცება მისი.

საქართველოს ბედი და მომავალი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი დამოკიდებულია იმაზე, თუ იგი გამონახავს საერთო ენას სხვა სახელმწიფოებთან. ეს არის ენა თანამედროვე უფლებისა. ამ უფლების ნიადაგზე სდგას ეროვნულ-დემოკრატია და მხოლოდ მას შეუძლიან წაიყვანოს საქართველო ამ უფლების მოპოების გზაზე. ხმა მიეცით ეროვნულ-დემოკრატიას, ხმა მიეცით სიას № 2-ს.

საარჩევნო პროგრამა

VII

ხმა მიეცით № 2-ს.

ყოველ შეგნებულ ადამიანისთვის ეხლა მაინც აშკარა უნდა იყოს, რომ გამარჯვება სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა არჩევნებში ბევრს საფრთხეს უმზადებს ჩვენ ქვეყანას.

ეამბობა—ეხლა მაინც მეთქი, ვინაიდან ეხლა ბევრი რამ გამოირკვა და თანდათან ნათელი ჰხდება, რომ გამარჯვებული სახელმწიფოები ძალიან ალმაცერათ უყურებენ ყოველ სოციალისტურ მოძრაობას და პირდაპირ ომს უცხადებენ თითქმის ყოველ სოციალისტურ მთავრობას. ეს, რა საკვირველია, აგრე უნდა ყოფილიყო. მთელი ძლიერება და კეთილდღეობა საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკისა დამყარებულია სამოქალაქო თავისუფლებაზე და კერძო საკუთრების პრინციპზე. დამხობა ამისთანა წესწყობილებისა იქნებოდა სოციალური რევოლიუცია, რაც იმავე ბედნიერებას მოუტანდა მათ, რაც ყოფილ რუსეთის იმპერიას მოუტანა ლენინისა და ტროცკის ბატონობამ. უბრალო შეგნება თავის დაცვისა და ელემენტარული ინტერესი მთელი სახელმწიფოსი და დემოკრატიისა მოითხოვს, რომ მიღებულ იქმნას ყოველი ღონისძიება, რომ ეს ბოლშევიკური საშიშლავი არ შემოვიდეს და არ მოედოს ხალხს. ამისთვის ზომებს ჰღებულობენ ყველა ეს სახელმწიფონი.

ინგლისი და საფრანგეთი ეხლა ომს აწარმოებენ რუსეთის ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამ მიზნისთვის უკვე ჩამოიყვანეს ბლომად ჯარი და დიდ დახმარებას უწევენ გენერ. დენიკინს ფულით და სამხედრო მასალებით. ამავე დროს ეს ორივე სახელმწიფო სრულებით უარზე არა სდგას, რომ როგორმე მოლაპარაკებით და მორიგებით გაათავონ საქმე რუსეთთან. საინტერესოა ის გარემოება, რომ მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლებს პარიზში კი არ იწვევენ მოსალაპარაკებლად, არამედ სტამბოლში, პრინცის კუნძულებზე. აქედან სჩანს, რომ მოკავშირენი ან ომით ჰცდილობენ გადაწყვიტონ რუსეთი საკითხი, ან თუ მოლაპარაკება საჭიროა, მიიწვიონ ბოლშევიკები ისეთ ადგილას, რომელიც ძალიან დაშორებულია ინგლისის და საფრანგეთის საზღვრებიდან.

მე მგონია, ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობაც არ არის კარგი. მართალია, ჩვენში ბოლშევიკები არ არიან, მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთისთვის ბოლშევიკების და მენშევიკებს შორის არ არის დიდი გარჩევა. ორივე პარტია მატარებელია ერთის და იმავე მიმდევრობისა, ორივე მარქსისტულია და რევოლუციონური, ორივე ცდილობს ქვეყნიერების გარდაქმნას, ახალ ეკონომიურ განწყობილების დამყარებას და ორივე ერთნაირად ემუქრება სამოქალაქო თავისუფლებას და კერძო საკუთრებას. იმათ შორის პრინციპიალური სხვადასხვაობა არ არის, მცირედენი სხვადასხვაობაა მხოლოდ ტაქტიკაში. ამიტომ არაფერია გასაკვირი, თუ საფრანგეთი და ინგლისი ჩვენს ქვეყანასაც ისე უყურებენ, როგორც ლენინის უმცროსი ძმის, მაგრამ ღვიძლი ძმის სამფლობელოს.

მე მგონია, მხოლოდ ამ გარემოებით აიხსნება ის არა საიმედო განწყობილება, რომელმაც თავი უკვე იჩინა ჩვენსა და ინგლისის წარმომადგენელთა შორის. ავიღოთ სომხებთან ჩვენი ომი, ბათუმის მდგომარეობა, სოჭის საკითხი, თვით ახალციხეში მომხდარი ამბები, ყველგან ჩვენ შევნიშნავთ, რომ ინგლისი ჩვენ არ გვეძლევა ისე როგორც მოსალოდნელი იყო, თუმცა ჩვენი და ინგლისის ინტერესი ამიერკავკასიაში მაინც სრულებით არ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს.

არის უფრო მჭევრმეტყველი ფაქტები: აკაკი ჩხენკელი აქამდე ბერლინში ჰზის იმას პირდაპირ გამოუცხადეს თურმე, რომ საფრანგეთში არ შემოგიშვებთო. ჩვენი საზავო დელეგაცია, ბ. კ. ჩხეიძის და ირ. წერეთლის მეთაურობით, დღემდე სტამბოლში სხედან. ეს—მაშინ, როცა სომხეთის და ადერბეიჯანის წარმომადგენელნი არხეინად წასულან პარიზში. ჩვენი დელეგაციისთვის კი გამოუცხადებიათ, რომ სტამბოლის იქით თქვენი წაყვანა საფრანგეთზეა დამოკიდებულიო, საფრანგეთი კი ჩუმად არის.—მე მეშინია, რომ ჩვენი დელეგაცია პრინცის კუნძულის იქით ვერ წავა და იქ ალბად შეხვდება ლენინის და ჩიჩერინის მიერ გამოგზავნილ ამხანაგებს. მე თავის დროზე მივაქციე მთავრობის ყურადღება, რომ კ. ჩხეიძის და ირ. წერეთლის გაგზავნა არ იყო ჩვენთვის ხელსაყრელი; ეს პირები უდაბნენ რუსეთის დიდ რევოლიუციას სათავეში, ხშირად წარმოუთქვამთ ფილიპიკები ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და გამოუთქვამთ სხვა და სხვა სოციალისტური იმედები... მაგრამ ვინ დამიჯერა? და აი ეხლა—შედეგი ჩვენი უტაქტიკობისა.

თუ თვალი გვაქვს, უნდა პირდაპირ შევხედოთ საერთაშორისო მდგომარეობას. არ ვარგა თავის მოტყუება. ინგლისმა და საფრანგეთმა ჩვენ უნდა გვიცნონ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ ეს ცნობა შეუძლებელია, თუ სახელმწიფოს სათავეში ჰსდგანან სოციალ-დემოკრატები—მარქსისტები, ე. ი. ისეთი პარტია, რომლის გაბატონება რომელიმე ქვეყანაში მათთვის მიუღებელია.

აქედან აშკარაა მოვალეობა ყოველი მამული შვილის, ყოველი პატრიოტისა, ვისაც კი ენატრება საქართველოს თავისუფლება და კულტურული განვითარება.

ეხლა ყოველ შეგნებულ ადამიანმა ხმა უნდა მისცეს ეროვნულ-დემოკრატიას. თუ ნახევარი მაინც არ იქნება არა-სოციალისტური ნაწილი დამფუძნებელ კრებისა, ძალიან ვშიშობთ, ვაი თუ ქართველ ერმა, ქართველ დემოკრატიამ, თავისივე ხელით დაასამაროს თვისი თავისუფლება და მომავალი.

გიორგი გვაზავა.

მოქალაქენო! ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ერთად-ერთი პარტიაა, რომელსაც შეუძლიან მოიპოვოს კეთილგანწყობილება კულტურულ ქვეყნების და მათი შემწეობით განამტკიცოს საქართველოს დამოუკიდებლობა. მიეცით ხმა სიას

№ 2.

ბრძანება

რკინის გზის მილიციის უფროსისადმი 1919 წ. № 17.

ვინაიდან რკინის გზებზე ხდება ბარგის და ტვირთის მასიური ქურდობა, რომელსაც უმთავრეს შემთხვევაში რკინის მოსამსახურენი და გადამტვირთველნი სჩადიან, წინადადებას გაძლევთ ამ ბოროტების აღმოსაფხვრელათ მიიღოთ მოსამსახურეთა და გადამტვირთველთა წინააღმდეგ მეტად ენერგიული ზომები მოვთხოვოთ პასუხი მათ, ვის პასუხის მგებლობაშიაც ბარგი ან ტვირთი იყო მიღებული, დამნაშავენი ადმინისტრატიული წესით დააპატიმროთ და სადაც საბუთები იქნება სასამართლოს მისცეთ.

ამასთან ერთად თქვენ გენიჭებათ უფლება, როგორც ზემო აღნიშნული ბოროტმოქმედნი პირნი, აგრეთვე ყოველივე ის პირნი, რომელნიც რაიმე ზიანს აყენებს რკინის გზას დააპატიმროთ ციხეში სადაც ისინი იქნებიან ჩარიცხულნი თქვენ განკარგულებაში; თვითეული ასეთი შემთხვევა ეცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ჟორდანია

მთავრობის საქმეთა მმართველი
კ. ზაფარიძე

საქართველოსა და ინგლისელთა შორის მოსალოდნელი უთანხმოებანი

მდინარე ჩოლოქთან.

ამ დღეებში თბილისის გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ მდინარე ჩოლოქთან ინგლისის და ქართველ მოლაშქრეთა შეტაკება მოხდა.

დიდი ბრიტანეთის მისიის შტაბის უმფროსის სიტყვით, ეს ფაქტი შემდეგში მდგომარეობს: საქართველოს რაზმის ჯარის კაცი წყალზედ წასულა; ინგლისელ მოლაშქრეს დაუშახია მისთვის, რაზედ ჯარის კაცს პასუხი არ გაუცია; მათ შორის მომხდარა უთანხმოება, რასაც შედეგში სროლა მოჰყოლია.

ინგლისის სარდლობამ, რომელმაც გამოძიება მოახდინა მომხდარი უთანხმოებისა, საქართველოს მთავრობას უაღრესი მწუხარება განუცხადა და სურვილი გამოსთქვა, რომ მომავალში ესეთი ინციდენტის თავიდან აცილებულ იქნენ; ამასთანავე მისიის მიერ გაცემულია განკარგულება, რომ ინგლისის სადარაჯონი დაწეულ იქნენ მდინარე ჩოლოქიდან ქობულეთამდე და მთელი სადარაჯოს შეცვლისაც, რომ მომხდარი ამბავი შემდეგში არ განმეორდეს.

ბათუმის გენერალ-გუბერნატორისა და გენ. გედევანიშვილის შორის მომხდარი ინციდენტი

გაზეთებში მოთავსებული იყო ტექსტი იმ პროტესტისა, რომელიც საქართველოს მთავრობამ გაუგზავნა ინგლისის მისიას იმის გამო, რომ ბათუმის გენერალ-გუბერნატორმა არ მიღო საქართველოს წარმომადგენელი გენერალი გედევანიშვილი.

ის გამარტება, რომელიც გენერალ-გუბერნატორმა შემდეგში მისცა ჩვენს წარმომადგენელს ბათუმში, რესპუბლიკის მთავრობამ სრულიად დამაკმაყოფილებლად მიიჩნია და მომხდარი ინციდენტი სავსებით ამოწურულად ჩასთვალა.

ჩვენს წარმომადგენელს, მთავრობის მიერ მიცემული აქვს განკარგულება, დარჩეს ბათუმში.

ინგლისელ ოფიცერის მოქმედება ახალციხეში.

დიდი ბრიტანეთის მისიამ მწუხარება განუცხადა საგარეო საქმეთა მინისტრს იმის გამო, რომ ცნობა გენ. მაზნიაშვილთან მყოფ ინგლისელ ოფიცრის ჩარევისა, უკანასკნელის განკარგულებებში გამოქვეყნდა, ვიდრე ინგლისის მისია ამ ამბავს გაიგებდა.

ამავე დროს მისიამ დაარწმუნა ბ-ნი მინისტრი, რომ ზემოთაღნიშნული ოფიცერი გაგზავნილი იყო ახალციხეში, გენერალ მაზნიაშვილის სრულს განკარგულებაში და მის დასახმარებლად და თუ რაიმე უპასუხისმგებლო ნაბიჯებს სდგამს თავის ნებით, დაუყოვნებლივ მიეცეს მას განკარგულება ზემოხსენებულ სახით.

ფ ო თ ში.

გაზეთებში მოყვანილი იყო ცნობა, რომ ფოთში ინგლისის ოფიცერი საქართველოს მთავრობის განკარგულებაში ჩარეულა და დაუბრკოლებია საქართველოს სამხედრო ძალების ზღვით ფრონტზე გაგზავნა.

მომხდარი ფაქტის გამო, საქართველოს საგარეო სამინისტრო იუწყება, რომ ინციდენტი სავსებით ამოწურულია: როგორც კი დიდი ბრიტანეთის მისიას ცნობა მოუვიდა, ინგლისის მისიის ოფიცრის მოქმედების შესახებ ფოთში, დაუყოვნებლივ გაცემულ იქნა ბრძანება, რომ ინგლისელები არ ჩაერიონ საქართველოს მთავრობის განკარგულებებში და არ შეეჩერებიათ საქართველოს ჯარების მსვლელობა.

ბიჩერახოვის რაზმი და საქართველო

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბიჩერახოვის რაზმის ნაწილი, ინგლისელების შუამდგომლობით ბაქოდან გაშვებულ იქმნა ბათომისაკენ. საგარეო საქმეთა მინისტრის შესაფერ შეკითხვაზედ, ინგლისის ჯარების მთავარ სარდალმა აცნობა ბ-ნ მინისტრს, რომ იგი სრულს გარანტიას იძლევა, რომ ბიჩერახოვის რაზმი შეჩერებული იქნება ბათომში. საქართველოსა და მოხალისეთა ჯარის შორის სამხედრო მოქმედებათა სრულს დამთავრებამდე, რომ ეს რაზმი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებაში და იმ შემთხვევაშიც, თუ მოხალისეთა ჯარმა სოჭაში კონფისკაცია უყო საქართველოს კუთვნილ სურსათს, ან სამხედრო გაწყობილებას, იმავე რაოდენობა ჩამოერთმევა ბიჩერახოვის ჯარს ბათომში, თუ მას, რასაკვირველია, აღმოაჩნდება გადადაიცემა საქართველოს მთავრობას.

საქართველოს პირობები სოჭაში სამხედრო მოქმედებათა შეჩერებისთვის

შავი ზღვის სანაპიროზედ, ტრძოლის ველზედ, ინგლისელმა ოფიცერმა წინადადება მისცა სარდლობას, შეეჩერებინათ სამხედრო მოქმედება, სამ-ვიდრო პირობების შესახებ მოლაპარაკებისათვის. ამის გამო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შეატყობინა თავის რწმუნებულთ ადგილობრივ, რომ საქართველოს მთავრობისათვის მისაღებია მხოლოდ შემდეგი პირობები:

მოხალისეთა ჯარისაგან, სოჭის ოლქის სრული გაწმენდა და მისი ბედის საერთაშორისო კონფერენციაზედ გადაწყვეტამდე სრული ნეიტრალიზაცია ინგლისელ პიკეტების საშუალებით.

საქართველოს ჯარები კი უნდა დაიკავონ „საქართველოს ბუნებრივ საზღვრებს, გაგრის ჩრდილოეთით.

ამომრჩეველთა საყურადღებოდ

კონვერტები დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის ბინებზე დარიგებული არ იქნება. მათი მიღება მხოლოდ საარჩევნო ყუთებთან არჩევნების დღეს შეიძლება.

საარჩევნო ბიულეტენად გამოდგება მხოლოდ ის დაბეჭდილი ფურცელი, რომელზედაც აღნიშნულია მეორე ნომერი. ჩვენი ბიულეტენი ყავის ფერ ქაღალდზეა დაბეჭდილი.

წინანდელი ბიულეტენები, რომლებიც ქალაქის არჩევნების დროს იყო, დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის აღარ გამოდგება.

ვინც ძველ ბიულეტენს ჩაუშვებს ყუთში ის ხმას დაჰკარგავს.

ბიულეტენებზე არაფერი წაუწეროთ ხელით, არც დაუმატოთ, არც გამოაკლოდ ვინმე, თორემ ბიულეტენი ყალბად იქნება ცნობილი და ხმა დაიკარგება.

კონვერტში უნდა ჩაიდვას მხოლოდ—მეორე ნომერი (№ 2).

ინგლისელ სარდლების მოლაპარაკება მოხალისეთა ლაშქართან

კავკასიის მთიელთა კავშირის ტერიტორიაზე თემირხან-შურიდან გამგზავრა პოლკოვნიკი რაულსონი. მთიელთა მთავრობასთან ინგლისის მისიის მეთაური. პოლკოვნიკი რაულსენი ინგლისელების კავკასიაში ჩამოსვლამდე ინგუშებმა გაანთავისუფლებს კავკავში ბოლშევიკურ ტყვეობიდან.

გენერალი ტომსონი და მოხალისეთა ლაშქარი

მთიელთა კავშირის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ვ. ჯამაგიმ ბაქოდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „მინისტრ მალარიხანის თანადასწრებით ვესაუბრე გენერალ ტომსონს ინგუშების საქმეებზე. მე განუმარტე გენერალს ჩვენი მდგომარეობა. გენერალმა დაგვპირდა, რომ იგი დიდი პატივით და ყურადღებით ექცევა ჩვენ ხალხს და ჩემს იქ ყოფნის დროსვე გასცა ბრძანება გენერალ დენიკინისადმი, რათა მოხალისეთა ლაშქარმა მთიელთა ტერიტორიაზე შეტევა შეაჩეროს“.

ინგუშთა დელეგატი ინგლისურ მისიასთან **ამუმეჭირი.**

არ შეჰხცდეთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სია დამფუძნებელ კრებაში არის მხოლოდ

№ 2.

ქრონიკა

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია 12 თებერვალს ღამით გაეგზავნა ბორჯომში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე გაემგზავრა ქ. ქუთაისში.

მთიელთა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი პირდაპირ მავთულით ელაპარაკა ყაზბეგში ჯაბაგიევს. გამოირკვა, რომ კავკავი მოხალისეთა ჯარს აუღია. მოხალისეთა ჯარს და ინგუშებს შორის დროებითი ზავია დადებული.

ლტოლვილთა მე-4 მატარებელი. თბილისიდან გავიდა ლტოლვილთა მე-4 მატარებელი, რომლითაც სომხეთში გაიგზავნენ 1000 ლტოლვილი სომეხი თავისი სამშობლოში.

ლტოლვილები. თანახმად კერძო ცნობებისა სტამბოლ-ბათუმით სომხეთში მიემგზავრებიან სხვა და სხვა ადგილებიდან 150,000 ლტოლვილი. პირველი ლტოლვილთა რიგის მისაღებად ბათუმში ამზადებენ 500 კაცისათვის საჭირო შენობას.

თბილისის მაზრის გამგეობაში. მაზრის გლეხებმა მიჰმართეს საჩივრებით, რომ მათ ჯარისკაცები, მილიციონერები, გვარდიელები ბეგრის წესით რეკვიზიციით ართმევენ ცხენებს, თივას და სხ. გამგეობა საჭიროდ სცნობს გამოარკვიოს როგორი წესი არსებობს რეკვიზიციის მოხდენისას.

შეპყრობა. ს. დუნიმალოკის ქალის შვილების მკვლელობისათვის ეჭვით დაატუსაღეს რ. მელიქახვერდოვი და მალხაზიანი.

ქურდობა. 11 თებერვალს ღამით არუთუნ ბარსეგოვის და გრიგორ ნასიბოვის დუქნიდან (რუსის ნერსესოვის ქუჩების კუთხე) რამოდენიმე უცნობმა ბოროტ-გამზრახველმა წაიღეს 25,000 მან. საქონელი.

დახრჩობა. სახერხავი ქარხნის პატრონი გასპარიანცმა (დიდი მთავრის ქ. № 2), განუცხადა მილიციის უფროსს, რომ 11 თებერვალს, ღამით, დაუხრჩვიათ ნოქარი კარამანოვი და ბოროტმოქმედებს წაუღიათ 9000 მან. ფულად. ექვით შეიპყრეს მეეზოვე და პარიკმახერი გრიგორიანცი.

ჟურნალის გამოსვლა. გამოვიდა მეორე ნომერი იუმორისტული ჟურნალი „ანირებული“.

ზუბალაშვილის სახლი. ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა სავალდებულო დადგენილება ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში მოსიარულეთათვის.

უპატრონო ბავშვები. უპატრონო ბავშვების შესანახად ქალაქის გამგეობამ გადასცა „კავკაიკის კავშირის“ საზოგადოებას ათასი მანეთი.

სოციალისტები კლასობრივ პოლიტიკას აწარმოებენ და სამოქალაქო შუღლს აღვივებენ. ეროვნული დემოკრატია ერთად ერთი სახელმწიფოებრივი პარტიაა, რომელიც კლასთა შეთანხმებას ჰქადაგებს.